№ 54, ხუთშაბათი, 12 დეკემბერი 1896 წ. 1896 ხუთშაბათი, 12 დეკემბერი 1896 წ. № 54.

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თვეშივე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლის

## წლიური ფასი ექვსი მანათი.

ტელეფონი № 349



ტელეფონი № 349

სავაჭრო სახლი

## ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, დოროს-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

## საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и Кº.
(100—1 წ.)

## სასწავლებელი და პანსიონი

ა. ტერ-აკოფოვისა.

იყვანს მოწაფეებს სახლიდგან მოსიარულეებს და პანსიონერებსაც. ამზადებს მეხუთე კლასამდე შესასვლელად გიმნაზიებს, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა და სხვა სასწავლებლებში მისაღებად. ქართველებს ქართულსაც ასწავლიან. მოწაფენი მიიღებიან 6 წლისა და მეტისა. ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11. (13—11)



## პანცერი და გლუხოვსკი

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).
ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი
საკერავი მაშინებისა
ნამდვილის ზინგერ-ნაუმანის და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—8)

კნეინა ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა სთხოვს იმ პირთ, რომელთაც მისგან აქვთ მიღებული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ყულაბები, წარმოუდგინონ მას ეს ყულაბები წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში შაბათს, 14 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათიდან 12 საათამდე. (3—1)

ქ. ქუთაისი.
ქართული თეატრი
1896 წ. კვირას, 15 დეკემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ჩერქეზიშვილისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I
ცხოვრების თანამოგზაური
დრ. 4 მოქმედ. 5 სურ. ა. ყაზბეგისა.

II
## უბედური დღე
ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძესი
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და სხვ. ბბ. ყიფიანი, მარჯანიშვილი, ბალანჩივაძე, ნემო, აბულაძე, გიორგაძე და სხვა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

## კბილის ექიმი
ვ. ი. ჭიჭინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ექიმი
ვ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

## სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფო-

ბას სწამლობს ს. .ბ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. .ბ თოფურია.
(წ.)

Вышла изъ печати и продается новая книга:

ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаурия“.—Быль—Какъ „въ старину живали дѣды“.— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.—Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.—Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.—Спасенная святыня.

ЦѢНА 1 РУБЛЬ.

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

ЦѢНА 30 КОП.

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

10 დეკემბერი

**ვენა.** 9 დეკემბერს ხელი მოაწერეს ავსტრი-უნგრეთისა და ბულგარეთის შორის სავაჭრო ხელ-შეკრულობას და დეკლარაციებს.

**პრაგა.** 9 დეკემბერს, ბურგომისტრის არჩევის დროს, სამჯერ ჩამოატარეს კენჭი. ვიცე-ბურგომისტრს სერბს—45 თეთრი კენჭი ამოუვიდა. ვიცე-ბურგომისტრს პოდლიპნეის 51. ამ გვარად, არც ერთს არ ამოსვლია კანონიერი ორი მესამედი ხმის უმეტესობა. ხვალ არჩევანებს განაგრძობენ.

**სოფია.** 9 დეკემბერს დაიწყეს საქმის გარჩევა სტამბულოვის მოკვლის გამო. დაბარებულია 130 მოწმე. ხალხი ძლიერ ბევრი ესწრება საქმის გარჩევას.

**ლონდონი.** ვენიდგან იუწყებიან: ის ხმები, ვითომ ინგლისის მთავრობამ ყველა სახელმწიფოებს წარუდგინა ოსმალეთში რეფორმების პროგრამა—ტყუილია. სოლსბერიმ მხოლოდ ხთხოვა სხვა სახელმწიფოებს, რომ ელჩებმა სტამბოლში საერთოდ შეადგინონ მოხსენება შესახებ იმისა, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ოსმალეთის საქმე. ეს წინადადება უკვე შეწყნარებულია. სხვა ჯერ არაფერი მომხდარა-რა.

**ლონდონი.** ათინიდგან იუწყებიან: ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა სკალცუნისი კრიტის ქრისტიანების სამოსამართლო კომისიაში და ნაიმ-ფაშა მუსულმანთა წევრად იმავე კომისიისა.

**ვაშინგტონი.** სენატი. გარეშე საქმეთა კომისიამ წარმოადგინა მოხსენება შესახებ კამერონის რეზოლიუციისა. მოხსენების განხილვა გადასდეს. ამ გვარად კუნძულ კუბას საქმე ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი დარჩება.

## გუშინდელი დეპეშა

10 დეკემბერი.

**მოსკოვი.** ქალაქის არჩევანები დასრულდება 16 დეკემბერს. ახალი საბჭო შეიკრიბება იანვარში სხვა-და-სხვა თანამდებობათა ამსრულებლების ასარჩევად. ქალაქის მოურავად ბევრ კანდიდატებს ასახელებენ, მაგრამ საერთო სურვილია, რომ ქალაქის მოურავად აირჩეს მოსკოვის გუბერნატორად ნამყოფი თავადი გოლიცინი.

**ვარშავა.** 9 დეკემბერს ვენის რკინის გზის მგზავრთა მატარებელი დაეჯახა ბარგის მატარებელს. ორი ორთქლის მანქანა დაზიანდა, 6 ბარგის ვაგონი დაიმსხვრა, 2 მგზავრთა ვაგონი ლიანდაგიდან გადმოვიდა.

**რომი.** სენატში დღეს ბჭობა იყო შესახებ ტახტის მემკვიდრე ნეაპოლიტანის პრინცას საუფლისწულო მამულის მიცემაზე. სენატმა ერთხმად მიიღო ეს კანონდებულება.

**სტამბოლი.** 9 დეკემბერს. გუშინდელ აუდენციაზე ხონთქართან რუსეთის ელჩმა ნელიდოვმა მოახსენა, თუ რა საჭიროა რეფორმების შემოღება ოსმალოს ქრისტიანეთათვის, ხოლო დამნაშავეთა საერთო პატიებაზე ზოგიერთში დაყაბულდა მთავრობას. ხონთქარი დაპირდა ამ ცოტა ხანში დამნაშავეთა შესახებ ბრძანების გამოცემას, რომელიც არ შეეხება ჩვეულებრივ ბოროტ-მოქმედებას. პატრიარქი ცდილობდა საერთო პატიებაზე და თუ ეგ არ მოხდა, პატრიარქი თავს მიანებებს თავისს თანამდებობას.

**ფილიპოპოლი.** სტამბოლის ცნობებიდან სჩანს, ახალგაზდა ოსმალოს პარტიის კომიტეტი სწერს ხელ-ახლად მოწოდებას ყველა დიდ სახელმწიფოებთან, რომლითაც ითხოვენ, რომ რეფორმები არა მარტო ქრისტიანებისათვის იქმნეს შემოღებული, არამედ ყველა მოსლემანთათვისაცო.

**ნიუიორკი.** ამერიკის პრეზიდენტმა კლივლენდმა მოიწონა ოლნეის აზრი შესახებ კამერონის წინადადებისა. სენატის კომისიის ერთ-ერთ წევრთაგანი, რომელიც ზემოდ ხსენებულ წინადადების მომხრე იყო, ეხლა ამბობს, რომ სენატში იგი წინადადება უარ-ყოფილ იქმნებაო.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრება პეტერბურგს მოხდება ამ თვის შუა რიცხვებში. ამ კრებაზე სხვათა შორის ბჭობა იქნება იმის შესახებ, რომ საადგილ-მამულო ბანკებს უფლება მიეცეს სესხი აიღონ ხოლმე სახელმწიფო ბანკებიდან თავიანთ გირავნობის ფურცლების გირაოზე.

საინტერესოა ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები ტფილისისა და ქუთაისისა, გზავნიან ვისმე ზემოხსენებულ კრებაზე თუ არა

*** საფრანგეთის პრეზიდენტის მოსვლა რუსეთში. საფრანგეთის ერთი გაზეთი სწერს: იმ ამბების შემდეგ, რომელიც მოხდა შერბურგსა, პარიზსა და შალონში, ფელიქს-ფორის წასვლა რუსეთში აუცილებელია. მაგრამ, პრეზიდენტის წასვლამ რომ სახელმწიფო საქმეთა მართვა არ შეაფერხოს, საჭიროა ეხლავე დაარსდეს ახალი თანამდებობა ვიცე-პრეზიდენტისა, ე. ი. პრეზიდენტის მოადგილესი, რომელმაც უნდა განაგოს სახელმწიფო საქმეები ყოველ იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა თვით პრეზიდენტი ავად გახდა, ან სადმე წავიდა. ვიცე პრეზიდენტის თანამდებობა არის შვეიცარიაში და აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## თეატრის მატიანე.

ქართული თეატრი ქუთაისში.

„ავაზაკები“ 5 მოქმ. დრამა შილერისა.

აცრ ერთს მწერალს, არა-დროს, ისეთი ყოვლის მხრით უმგზავსო და ყოვლად საზიზღარი ტიპი არ შეუქმნია, როგორც შექსპირის იაგო: იგი ისეთის ცბიერებით ქსოვს ბადეს, რომ ძნელათ თუ ვინმე გადურჩა და შიგ არ გახვიაო, ამბობს გამოჩენილი გერმანელი კრიტიკოსი შლეგელი. დიახ, საზიზღარი და ბოროტი რამ არის იაგო, მაგრამ არც შილერის ფრანც-მოორი გახლავთ ნაკლები. შეხედეთ აბა ერთი, რანაირი ცბიერების ფიალა უპირავს ხელში და შიგ როგორი შხამიანი სასმელი მოუმზადებია თავის მოხუცებულ მამისათვის! ბუნებას ეს კაცი ისე დაუჩაგრავს, ისე დაუმახინჯებია, რომ იმისთვის აღარც ტკბილი ოცნება სუფევს სიყვარულისა, აღარც სიბრალული და აღარც კაცური გრძნობა. „ბუნებამ თითქო განგებ ჩემზე მოიცალაო, რომ ასეთი მახინჯი გამოვედიო... მაგრამ მე სამაგიეროთ დავლეწ-დავამსხვრევ რაც კი რამ კარგი შეუქმნია ბუნებასაო. ბუნებას შაშურდა ჩემთვის, რომ სიყვარულით დავმსტკბარიყავიო; მაგრამ სამაგიეროთ მეც მძაგს ყველაფერი ჩ წინ ვერა დამიდგება რაო“. დიახ, ბუნებას დაუსახიჩრებია ეს კაცი და ეხლა მთელ თავის გულის ვარამს; მთელ-თავის გულის ბოღმას სხვაზედ იყრის, და ვაი იმას, ვინც წინ დაუდგება! გასრესს, დასტანჯავს, აწამებს. სადაც უნდა, წინ დახედულის ცბიერებით გააქვს საქმე და სადაც ცბიერება არ გადის, იქ კი ძალას ხმარობს და გასამართლებელი საბუთიც აქვს; როგორც თვითონ ამბობს: ბუნებას სამაგიეროს ვუხდიო.

აი, ასეთი ცბიერი, მახინჯი, შეუბრალებელი და ბოროტი გახლავს ფრანც მოორი და ასეთი ტიპი უნდა დაეყენებინა საზოგადოების წინ ჩვენ საყვარელს არტისტს ბ-ნ ალექსი-მესხიშვილს. აქ ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე და ზოგიერთა ვაჟ-ბატონს მოვახსენებ, რომ შენიშვნასა და ლანძღვას შორის დიდი მანძილი არის და ერთმანეთში მათი არევა სწორედ ვერაფერი პატიოსნებაა. ლანძღვისათვის ჩვენ არ გვცალიან—ლანძღვა-გინება უსაქმო წარა-მარა მოხეტიალე კაცის საქმეა და იმისათვის დაგვილოცნია. ლანძღვისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, და შეცდომას კი გულ-წრფელათ, რამოდენათაც შევძლებთ, შევნიშნავთ, რომ შემდეგში არტისტმა თავიდგან აიცილოს. რასაკვირველია, თუ ჩვენი შენიშვნა ჭკუაში დაუჯდება.—აიხდება ფარდა თუ არა, სცენაზე გამოჩნდება მაქსიმილიან ფონ მოორი და მისი მახინჯი შვილი ფრანცი, რომელიც ეშმაკურ ცბიერებით უახლოვდება მამას და ეშმაკურისავე კილოთი ჰკითხავს: „რა დაგმართვიათ მამაჩემო, ავად ხომ არა ხართ? როგორი ფერი გადევთ!“ ეს გახლავს ფრანცის ეშმაკური კილო, ეს არის იმის პირველი ბადის გადაგდება და აქედგან იწყება იმის ოინები. არტისტმა ისე უნდა წარმოსთქვას ეს სიტყვები, რომ მთელი მისი სახე ცბიერების ელფერით უნდა იყვეს გარემოცული და ეს ცბიერება კი, საუბედუროდ. ვერ შევნიშნეთ ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის სახეს. იმის კილო, მიმიკა გულ-წრფელი იყო და არა ცბიერი. იგი უფრო გულ-კეთილი შვილი და ძმა იყო, ვიდრე ყოვლად უპატიოსნო ფრანც მოორი. სამაგიეროთ ალექსი-მესხიშვილი, შემდეგ სცენებში, თავისს კალაპოტში ჩაჯდა და ფრანც მოორის მოშხამული და საზიზღარი ტიპი მაყურებელთ თვალ-წინ დაუყენა. განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში იმის სახის თამაში სწორედ გასაკვირალი რამ იყო. რა გნებავთ, რომ მისმა სახემ აქ არ გამოხატა: დარდი, ვარამი, სასოწარკვეთილება, მაგრამ ვგლახ, რომ ხმა ვერ შესწევდა თამაშს! სწორედ იტანჯები, გული გიკვდება, როცა ხედავ საბრალოს ათას ნაირად ქშენას, ხვნეშას, სულის მობრუნებას, რომ ოდნავ მაინც მოუმატოს ხმას, მაგრამ შეუბრალებელი ავადმყოფობა თავისას შვრება! და განა ეს ტანჯვა

შიაც. საფრანგეთშიაც რომ იყოს, კარგი იქმნებაო, დასძენს გაზეთი.

*** **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება** მართავს სამკურნალოებს იგდირსა და ვაღარშაპატში, სადაც სხვა და სხვა გადამდები ავადმყოფობა გაჩენილა ოსმალეთიდგან გადმოსახლებულ სომხებ შორის.

*** **საკვირაო სკოლა.** ტფილისში არის წუმწუმის ქარხანა ძმათა გოლდლიუსტებისა. ამ ქარხანაში 150 კაცზე მეტი მუშაობს. ქარხნის პატრონებს განუზრახავთ გამართონ საკვირაო სკოლა თავიანთ მუშებისთვის. სკოლისთვის სახლს აშენებენ კიდეც და წიგნები და სამოსწავლო ნივთებიც უკვე ნაყიდი აქვთ.

*** **„წერა კითხ. საზოგად.“ ყულაბები.** როგორც მკითხველები დაინახავდნენ დღევანდელ გაზეთის განცხადებიდან, ჩვენს ყოვლად პატივცემულ კნეინა ოლგა ჭავჭავაძისას მოუთხოვნია ყულაბები ყველა იმ პირთაგან, რომელთაც ჰქონდათ ეს ყულაბები შეწირულობის მოსაკრეფად. ყულაბებს გახსნიან, „წერა კითხვ. გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში ამ თვის 14, შაბათს.

*** **ალ. ხახანაშვილის ახალი შრომა.** მოსკოვიდგან გვწერენ: „იბეჭდება და მომავალ იანვრის თვეში გამოვა ალ. ხახანაშვილის ახალი შრომა—Очерки по исторіи грузинской словесности—წიგნი მეორე. ამ წიგნშიაც, მსგავსად პირველის წიგნისა, ავტორს შეუკრებია მრავალი საინტერესო მასალა.

*** **იქიდგანვე:** „წარსული თვის გასულს პატივცემულ ალ. ხახანაშვილმა წაიკითხა თვისი მოხსენება შესახებ „მხეცთა ისტორიისა“. ეს მხეცთა ისტორია შეტანილია მეათე საუკუნის შატბერდის ქრისტომატიაში, რომლიდგანაც იგი ამოუწერია მ. ჯანაშვილს და გამოუგზავნია ხახანაშვილისთვის. „მხეცთა ისტორია“ დაიბეჭდება ვრცელის განმარტებითა და შედარებით სხვა ამ გვარ წყაროებთან.

*** **შავი სახადი.** 10 დეკემბერს, ავლაბარში, მაჩაბლის ქუჩაზედ, დანდუროვის სახლში შავი სახადით გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრები პოლოს საგოიანცი. სახლში საჭირო დეზინფექცია მოახდინეს.

*** **ყარაქლისიდგან** იწერებიან, რომ რკინის გზის მუშები ძლიერ უკმაყოფილონი არიან იჯარადრეზისა, მუშაობა ალკვეთეს და ხვედრი ფული მოითხოვეს. ამ საქმეს სასამართლო გაარჩევს.

*** **სოფ. კაკი (კახი):** გაზაფხულის დამდეგს გარდაიცვალა ჩვენი მისიონერი მღვდელი ნიკ. ყულოშვილი, რომლის ადგილას მხოლოდ დღეს გაგვიმწესეს მოძღვრად და მისიონერად ბესარიონ ფურცელაძე, ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველად ყოფილი. „სამკალი მრავალ არს და მომკალი ყოვლად არაო“ რომ თქმულა, თქმულა სწორედ ჩვენი კუნჭულისთანა ყრუსა და შორეულ ქვეყნის შესახებ. ღმერთმა ჰქნას, რომ ახალი მღვდელ-მისიონერი კარგ მომკალად გამოგვადგეს.

*** **ბათომში.** დაწესდა შემდეგი ნიხრი: პური—პირველი ხარისხისა 4 კაპ., მეორესი—3½ კ., მესამესი—3 კ, ლავაში—4 კ. სუკი—15 კ., ძროხის ხორცი პირველი ხარისხისა—8 კ., მეორესი—7 კ., კამეჩის ხორცი—6 კ., ცხვრისა—9 კ., ღორისა 9 კ.

*** **გურია.**—ს. ასკანას და ბახვს ერთმანეთისაგან საზღვრავს მდინარე ბახვის წყალი.—ამ მდინარეზე, სადაც გაივლის საზოგადო გზა, გასულ !ოქტომბრის წყალდიდობამ წაიღო ხიდი და რამოდენიმე დღე მიმოსვლა შეჩერებულ იყო. გამოიდარა, წყალმა დაიკლო და ვიფიქრეთ, ეხლა გაგვიკეთებენ ხიდსაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, აგერ ორი თვე გადის და ისევ წყალში ვეტყაპუნებით. „საბაძავი მკვდარი წაუწყმენდავი არ დარჩებაო“, სწორედ ამ ხიდისათვის ითქმის. აი საქმე რაშია: ამ მდინარეზედ, ვინაიდგან ორი საზოგადოების საზღვარზეა, ხიდს აკეთებდა ორი სამამასახლისო, ასკანის და ბახვის, ასკანის მამასახლისმა მაშინვე მიატანინა ხიდი და დასდო ადგილზედ, მაგრამ ბახვის მამასახლისმა კი თავის მხრით არავითარი საშვალება არ მიიღო ხიდის გასაკეთებლათ. როგორიც ვიცით, ნაბრძანებიც ჰქონდა ბ. მაზრის უფროსისაგან, რომ ხიდი დაუყოვნებლივ გაეკეთებინა, მაგრამ ჯერ ყურებიც არ გაუბერტყია. საჭიროა ყურადღების მიქცევა, თორემ აუცილებლათ უბედურება რამ მოხდება, მით უმეტეს, რომ აქ დადიან ყოველ დღე ბახვის სკოლის ბავშვები და არა ერთხელ შევხვედრივართ წყალში ამოწუმპულებს.

*** **სამეგრელო:** ყველამ კარგად ვუწყით, რომ ახალ-სენაკში დაარსებული სასულიერო სასწავლებელი დღეს უნებურად ავიდა და ჩამოეკიდა ისევ საქანაოს და გახდა ხელ-ახლად საწყენი. სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო უექველის საბუთებითა, რადგან სასწავლებელის ალაგსა არჩევა იმ თავითვე სრულიად სამართლიანობას მოკლებულ იყო. ამ სასწავლებელს პირველ დაარსებიდან ინახავდა მარტვილი. მარტვილიდან გადაიტანეს ქ. ქუთაისში. როცა ქუთაისში ვერ შეიძლეს ვერც ბავშვების წაყვან-წამოყვანა და ვერც საზრდოს ზიდვა, მაშინ, მიხვდნენ შეცდომას და დიდის ვაი-ვაგლახით გადმოიტანეს ისევ მარტვილს; ცოტა ხანი იქ დაჰყვეს და ისევ აბარგეს და გადმოიტანეს ახალ-სენაკს. რა თქმა უნდა ასეთი აქეთ-იქეთ ხეტიალი სასწავლებლისა სრულიად შეუფერებელია და მავნეც იყო. აღნიშნული სასწავლებელი და მის ფრთის ქვეშ შეფარებული ერი, დაარსებიდანვე იყო შეჩვეულ-შეზრდილი მარტვილსა და თუ ეს საარხეოლოგიო განძი დღეს დროთა ვითარებამ მიუმხრობელ მიუდგომელ ადგილად გახადა, სამაგიეროს არჩევანში უნდა ჰქონოდათ მხედველობაში, თუ ყოველი არა, უმეტესი მხარე მაინც დაეკმაყოფილებინა სასწავლებელსა. ახალ-სენაკის არჩევა სრულიად წინააღმდეგ იყო საზოგადოების მომეტებულ ნაწილის სურვილისა. ამას მიუმატეთ ისიცა, რომ ახალ-სენაკში მოზარდი შეგირდებისათვის ჰაერი მძიმე და მავნეა, ნოტიო და ტბორ-ტალახიანი; ერთი პატარა წვიმა და სიარული შეუძლებელი ხდება, დასალევი წყალის შოვნაც ძნელია. მხოლოდ რკინის გზის სადგურზეა წყალი. სხვა მხრივაც არ იყო მოწყობილი სასწავლებლის საქმე. ასე იყო თუ ისე, სასწვლებელი დარჩა ახალ-სენაკში და როგორც იქმნა ყველანი დამ-

---

წამება არ არის არტისტისათვის? მერწმუნეთ, რომ საზოგადოებაც ძალზე იტანჯება. არტისტთან ერთად შენც ახველებ, შენც იწმენდ ხმას და მასთან ერთად შენც იტანჯები.

მაქსიმილიან ფონ მოორ (ბ-ნი კ. ყიფიანი) ძრიელ სინიდისიანათ და დაკვირვებით ასრულებდა პატიოსნებით სავსე და მოსიყვარულე მამის როლს, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ მის თამაშს მაყურებელზე ის ძლიერი შთაბეჭდილება არა ჰქონდა, როგორიც მოსალოდნელი იყო. ხოლო ერთ ალაგას, სადაც ფრანცი ვითომ საყვედურს ეუბნება: შენი ბრალია ჩემი ძმის გაფუჭებაო და მოხუცი იტანჯება, სწუხს და თმებს იგლეჯს; დიახ, ამ ალაგას საზოგადოების სრულ სიმპატიას იწვევდა, მაგრამ ამოიღებდა ხმას თუ არა ეს სიმპატია, ისევ ქრებოდა. ჩემის აზრით ეს მით უნდა აიხსნებოდეს, რომ კოტე ყიფიანმა პირველადვე „არა სწორი ტონით“ დაიწყო ლაპარაკი და შემდეგ ველარ გამოცვალა ხმა. ხშირად მოხდება ხოლმე ესეთი ამბავი სცენაზედ.

კარლ მოორი (ბ-ნი სვიმონიძე), გარეგანი ახოვანი შეხედულობა, სიმპატიური სახე, სასცენო ხმა ბუნებას არ დაუკლია მისთვის, მაგრამ საქმე ის გახლავს, თუ როგორ უსარგებლებია, როგორ გამოუყენებია, ეგ ბუნების წყალობა ჩვენს მსახიობს? სწორეთ ხუთი წელიწადი იქნება, რაც ჩვენ ბატ. სვიმონიძე არ გვინახავს და ხუთი წლის განმავლობაში კი, ცდისა და მეცადინეობის წყალობით, ვინ იცის რამდენი რამე არ გაკეთდებოდა. ხუთი წელიწადი არ გვინახავს და უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს დრო ვერ მოუხმარია როგორც რიგია, იგივე ხმა და იგივე კილო, მაშინ როდესაც მის ხმის პატრონს ცდისა და მეცადინეობის წყალობით, შეეძლო ათას ნაირად მოეხეშა თავის ხმა და როცა დასჭირდებოდა ათას ნაირადვე შეეცვალა, ეხლა კი სჯავრობს თუ ტკბილად გესაუბრებათ, მაინც მაღალი კილოთი ლაპარაკობს და მიტომ მის თამაშს აზროვნების ელფერი ეკარგება.

კარლ მოორის როლისათვის—იგი ზედ გამოჭრილია და გამოჩდა თუ არა სცენაზე უეცრივ სიმპატიაც გამოიწვია, მაგრამ ბატ. სვიმონიძეს უფრო დაკვირვებული თამაში მოეთხოვება. ამალია (ქალ. ჩხეიძისა), საბრალო ამალია მწუხარებით გარემოცული დგას და ამ დროს შემოდის ფრანც მოორი და ეუბნება: მე მოველი..... ამალია აღარ დააცლის სიტყვის გათავებას და უპასუხებს: „ნეტა ვიცოდე, როდის წახვალ?“ ზარა სევდით და ბოღმით სავსე სიტყვებია. როცა ქ-ლ ჩხეიძისამ ეს სიტყვები წარმოსთქვა, ჩვენ რაღაც ციური ნაპერწკალი შევნიშნეთ, რომელიც კარგი მწვრთნელის და მასწავლებლის ხელში შეიძლება ერთი ათად გაორკეცებულ იქმნეს, მაგრამ ჩვენ ვამბობთ—კარგი მწვრთნელის ხელში.... დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ბ-ნ ნემოს ჩვენი შენიშვნით უსარგებლნია, მას შემდეგ აგერ ორჯელ ვნახეთ იგი და, ჩვენდა სასიამოვნოთ, ის მეტი ბარგი, რაც მისთვის საჭირო არ იყო, თავიდამ მოუშორებია, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ის გარემოება, რომ იგი დანიელის როლში სრულებით მოუმზადებელი გამოვიდა და როლი არ იცოდა, როგორც რიგია. ურიგონი არ იყვნენ ბ. ბალანჩივაძე და შათირიშვილი. არც თამაზიშვილს უშავდა-რა, მაგრამ როლი რომ კარგათ სცოდნოდა უფრო კარგი იქნებოდა. რაც შეეხება დანარჩენებს, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, ვერავერი აქტიორობა გამოიჩინეს, საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პიესა ვერ მიდიოდა მწყობრად. საზოგადოება მადლობა ღმერთს, კარგა ბლომათ დაესწრო.

ატოს.

შეიძლენ, მაგრამ ცეცხლმა ისევ არია თავი და ბოლო. ეხლა ამ სასწავლებელის ხელ-ახლად საქანაოზე ჩამოკიდების მიზეზად გახდა ქალაქი ფოთი. ფოთმა აღძრა კითხვა სასწავლებლის დაძვრისა ახალ-სენაკიდან. ჩვენ ფოთზედაც იმ აზრისა გახლავართ, რაც ახალ-სენაკზე. ფოთში ჰაერი უარესი მრჩოლია მოზარდ ყმაწვილებისათვის. სიარული უარესად გასაჭირია გზების სიწამხდრის გამო და ხარჯი შეგირდებისათვის ერთი სამად უფრო მეტი იქმნება. ამასთან, თუ ისიც წარმოიდგინეთ, რომ აქ ხშირია ხოლმე წყალ-დიდობა, რომელმაც გაანახევრა უმეტესი ჩვენი მხარე, მაშინ იგი სრულებით მოუხერხებელია სასწავლებლისათვის. ვინ არ იცის, რომ ფოთი წყალ-დიდობის დროს მეტად საშიშია, მეტადრე ყმაწვილებისათვის. წრევანდელი და შარშანდელი წყალ-დიდობა მაინც მოვიგონოთ.

დროა უკუ ვაგდოთ ჩვენი დამღუპავი შინ-მეობა, სასწავლებელის გამო ჩხუბი და დას-დასობა მავნებელია. ვიზრუნოთ სასწავლებლის კეთილ-დღეობისათვის და მის დღეგრძელობის სურვილით გამსჭვალულებმა ავილ-დავილოთ ავწონ-დავწონოთ და ისეთი ადგილი ავირჩიოთ, რომ მრავალისათვის მიმზიდველის ძალით იყოს შემოსილი და რომელიც მომავალში სიკეთეს გვიქადიდეს ჩვენდა დასამშვიდებლად საშვილის შვილოდ.

მენავე.

## პოლიციის მატიანე

26 ნოემბერს, ღამე, ქურდებმა გასტეხეს პეტრე-პავლეს ეკკლესია სოფ. საგარეჯოში და სხვა-და-სხვა ნივთები მოიპარეს.

—

30 ნოემბერს ქ. ახალციხეში, ვართან კილიტჩევის ქარხანაში უეცრად გარდაიცვალა ახალციხის მცხოვრები თადეოზ კლოევი, 50 წლისა.

—

10 ნოემბერს, ღამის 12 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ პოლიციამ შეიპყრო ახალ-ქალაქის მცხოვრები ავეტის კასიანცი, რომელსაც ბრალდება, რომ ახალ-ქალაქში მოჰპარა იაკობ მარტიროზას ძეს მარქაროვს ოქროსი და ვერცხლის ნივთები, სულ 4150 მანათისა. კასიანცს უპოვნეს 81 მანათი ფული და სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები. კასიანცმა თავისი თავი დამნაშავედ არ აღიარა ზემოხსენებულ ქურდობაში, მხოლოდ გამოტყდა-კი, რომ გორში ორი კაცი მოვკალი, ტფილისის ოლქის სასამართლომ სამის წლით დაპატიმრება გადამიწყვიტა, აი სამ წელიწადს ციხეში ვიჯექიო. კასიანცი ტფილისის პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს.

## რკინის გზის ამბები.

სადგ. ველახი. 10 დეკემბერს, როდესაც მატარებელი № 4 წავიდა გვლახიდან, შენიშნეს ერთი მასაჟირი მესამე კლასის მატარებელ ქვეშ რელსებსა და ბაქანს შუა, მატარებელი მაშინვე გააჩერეს მაგრამ ის კაცი კი ვეღარ იპოვეს; მატარებლს ქვეშ-კი რომ ეგდო, რამდენმამე ზირმა ნახა.

—

სად. ქურდამირი. გზის მოხელემ (დოროჟნ. მასტ.) აცნობა თავის უფროსს ინჟენერს, რომ 620 ვერსტიდან რამდენიმე ახალი შპალები მოიპარესო. ქურდს თურმე ურმით წაეღო შპალები და ურმის კვალით გზის მოხელემ და ჟანდარმმა მიაგნეს ქურდს სოფ. ქურდამირში მცხოვრებს. ჟანდარმმა ოქმი შეადგინა.

—

სად. კოლლიარი. 10 დეკემბერს, ღამე, 410 ვერსტზე მატარებელი № 21 გაიგლიჯა. მოსწყდა 16 ვაგონი და 411 ვერსტამდი გაიქცენ, სადაც ძლივს გააჩერეს კონდუქტორებმა. ვაგონების გადასაბმელები დაწყდა, კაცები კი გადარჩენ. არავინ დაშავებულა.

## პეტერბურგის ბირჟა

კურსები და ფონდები.

პეტერბურგი, 10 დეკემბერი 1896 წ.

| | |
|---|---|
| ვექსელ. კურსი 3 თვით: | |
| ლონდონისა 10 გირ. სტ—ში | 93,30 |
| ბერლინისა 100 მარკაში | 45,70 |
| პარიზისა 100 ფრანკში | 37,15 |
| მდგომარეობა ვექს. კურსისა | მშვიდია |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,50 |
| ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.) | 149 |
| ბირჟის დისკონტი | 5 3/4—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99 1/8 |
| 4% შინაგანი სესხი 1 სერიისა | 98 3/4 |
| 4 1/2% „ „ 1893 წლ. | 101 1/2 |
| 4 1/2% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა | 101 |
| 4% „ „ „ „ „ | 97 1/2 |
| 4 1/2% მოწმ. საკრ. საად.-მამ. ბ. | 101 |
| 5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ. | 292 3/4 |
| 5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ. | 255 |
| 5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ. | 213 |
| „ ოქროს რენტა 1884 წ. | — |
| 4 1/2% გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად. | 155 |
| 5% სახელ. რკინ. გზ. რენტა | — |
| 4 1/2% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ. | 101 3/8 |
| „ „ 2 გამ. 1892 წლ. | 101 5/8 |
| 4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ. | 152 1/2 |
| 4 1/2% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ. | 101 |
| „ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ. | 101 |
| „ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ. | 101 |
| 4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ. | 97 |
| 4 1/2% სესხი ქ. პეტერბურგ. | 98 1/2 |
| 4 1/2% „ „ ქ. ოდესისა | 94 |
| 5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ. | 101 1/2 |
| 4 1/2% „ „ „ „ | 98 1/8 |
| 5% .... მოსკოვისა | 100 7/8 |
| 5 1/2% ობ. ოდეს. საკრ. საზ. | 100 3/8 |
| 5% „ „ | 99 5/8 |
| 5% ტფილისის | 98 |
| 5 1/2% გირავნ. ფურც. ხერს. | 100 3/4 |
| 5% საად. მამულო ბანკისა | |
| 4 1/2% „ „ „ „ | 95 |
| 5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ. | 100 3/4 |
| 4 1/2% „ „ | 94 1/8 |
| 5% ვილენის | 100 3/8 |
| „ დონისა | 100 3/8 |
| „ კიევისა | 101 1/8 |
| 4 1/2% „ „ | 95 |
| 5% მოსკოვისა | 101 1/8 |
| „ ნიჟ-სამარისა | 101 1/8 |
| „ პოლტავისა | 100 5/8 |
| 4 1/2% „ „ | 95 3/8 |
| 5% ტულისა | 101 1/4 |
| „ ხარკოვისა | 101 1/2 |
| 4 1/2% „ | 95 1/2 |
| 6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ | 99 1/4 |
| 6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ „ | 99 |
| აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ. | 536 |
| „ პეტ. უჩოტ. და სესხ. | 733 1/2 |
| „ პეტ. ერთა-შორებრივ. | 655 |
| „ რუსეთის შინაგ. ვაჭ. | 484 |
| „ ვოლგა-კამას კომერ. | 1310 |
| „ პეტერბ.-მოსკოვის კომ. | 423 |
| „ პეტ.-აზოვის კომ. | 422 |
| „ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან. | 381 |
| „ აზოვი-დონის კომ. ბან. | 630 |
| „ ვარშავ. კომერ. | 502 |
| „ მოსკოვ. საერთაშ. ბან. | 465 1/2 |
| „ ციმბირისა | 690 |
| „ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ. | 635 |
| „ ვილენისა | 620 |
| „ დონისა | 710 |
| „ კიევისა | 790 |
| „ მოსკოვისა | 735 |
| „ ნიჟეგოროდ. და სამარის | 690 |
| „ პოლტავისა | 615 |
| „ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ. | 405 |
| „ ხარკოვის საად.-მ. ბან. | 490 |
| „ პეტერბ. განათ. საზოგ. | 135 |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. | 9900 |
| აქციები „ „ „ | 490 |
| „ პუტილ. ქარხნის საზოგ. | 117 1/2 |
| „ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. | 509 |
| აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“ | 230 |
| „ რუს. და ბელგ. მეტალ. | 278 |
| „ მალცევის ქარხნებისა | 638 |
| „ რუს. ოქრ. საზოგად. | 292 1/2 |
| „ რუს. დამზ. საზ. 1827 წ. | 1540 |
| „ „ „ „ 1835 წ. | 335 |
| „ დამზ. საზ. „სალამანდრა“ | 500 |
| „ პეტერ. დამზღ. საზოგ. | 440 |
| „ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. | 820 |
| „ დამზღ. საზ. „როსსია“ | 352 |
| „ საზ. „რუსს. ლლოიდ“ | 1100 |
| „ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. | 132 |
| „ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა“ | 250 |
| „ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო | 600 |
| „ საზ. „კავკაზ და მერკურ“ | 450 |
| „ ნავოსნ. დნეპრზე | 95 |
| „ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. | 495 |
| „ კიევი-ვორონეჟ. | 452 |
| „ რიბინსკისა | 171 |
| „ სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ. | 184 |

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მშვიდია.


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНIЕ“

## НА 1897 ГОДЪ

(четырнадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

| | |
|---|---|
| На 12 мѣсяцевъ ..... 10 р. — к. | „ 2 „ ........ 2 „ 75 „ |
| На 6 мѣсяцевъ....... 6 р.—к | „ 1 „ ........ 1 „ 50 “ |
| „ 3 „ ....... 3 „ 50 „ | |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Лица, подписавшіяся теперь на будущій годъ, получаютъ газету безплатно въ текущемъ году со дня подписки.

Подписка принимается: въ Тифлисѣ—въ редакціи „Нов, Обозр.“, Барятинская ул., № 8; въ Баку—въ типографіи „Арорь“; въ Батумѣ—въ книжномъ агентствѣ М. И. Николадзе; въ Кутаисѣ—въ книжныхъ магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

ОТЪ РЕДАКЦІИ:

Открывая подписку на будущій годъ, редакція «Нов. Об.» считаетъ нелишнимъ заявить, что всѣ сотрудники (за немногими исключ.), которые принимали участіе въ нашей газетѣ до сихъ поръ, примутъ участіе въ ней и въ будущемъ году. Кромѣ того, намъ обѣщали сотрудничество нѣкоторые петербургскіе литераторы: Д. Н. МАМИНЪ, М. А. ПРОТОПОПОВЪ (критикъ), В. ВЕРЕСАЕВЪ (сотрудникъ «Русскаго Богатства») и др. Нашъ ЛОНДОНСКІЙ КОРРЕСПОНДЕНТЪ Л.—ВИЧЪ, временно прекратившій участіе въ „Нов. Обозр.“, въ скоромъ времени возобновитъ печатаніе у насъ своихъ политическихъ писемъ. Печатаніе СПЕЦІАЛЬНЫХЪ ТЕЛЕГРАММЪ изъ Петербурга и отчасти изъ главнѣйшихъ центровъ Закавказья будетъ продолжаться круглый годъ.

Но улучшеніе литературнаго и политическаго отдѣловъ нашей газеты не отвлечетъ насъ отъ главнѣйшей нашей задачи—отъ обсужденія МѢСТНЫХЪ, КАВКАЗСКИХЪ ВОПРОСОВЪ, стоящихъ на очереди и отъ сообщенія возможно полныхъ свѣдѣній о событіяхъ мѣстной жизни. Мы заручились постоянными корреспондентами не только въ главныхъ городахъ Кавказскаго края, но и въ нѣкоторыхъ второстепенныхъ его пунктахъ. Многое зависитъ въ данномъ случаѣ, конечно, отъ содѣйствія мѣстныхъ дѣятелей, голосъ которыхъ мы будемъ продолжать выслушивать съ особеннымъ вниманіемъ. Пользуясь ихъ сочувствіемъ, мы съ своей стороны ни минуты не будемъ забывать, что газета должна совершенствоваться съ каждымъ днемъ; мы будемъ стремиться къ тому, чтобы читающая публика получала возможно болѣе матеріала, обработаннаго и правильно освѣщеннаго, при чемъ никогда не перестанемъ руководствоваться той основной точкой зрѣнія, которая ясна для всякаго, кто внимательно слѣдитъ за нашей газетой. 6—6


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Декабря, 1896 г· სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნი